

ნიკონი

19
1981

ISSN 0132-6015
თეატრული
გრაფიკა



ნ. ჯ. ლომუასი

— მანეკენი — მანეკენს: სიარული რომ შეეძლოს, იტო-
ცხლე, ჩავიცვამდი, ისეთი სუკაულანები ვიცდი!..



— კახეთში, თურგა, ღვინოს ყურძნიდან აკეთებენ!..



ეს ამბავი ოთხი-ხუთი წლის წინათ დაიწყო: ინჟინერ-ტექნოლოგი ზურაბ ვლადიმერის ძე ლომიძე მაშინ გორის ხილვენკროვანი ღვინის ქარხნის ღვინისა და ღვინომასაღების სააქროს უფროსად მუშაობდა. თავიდან ყველადერი ჩვეულებრივად მიდიოდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს...

კაპიკებზე მუშაობა რას მიქვან, როცა ათასების და ათი ათასების შოგნაც შეიძლებაო, და თანამოსაქმეებიც მალე გამოჩნდა: ქიათურის რაიდაშადების კანტორის ხილის დამზადების ცენტრალური პუნქტის გამგე გიორგი ჭოხონელიძე, საჩხერის რაიდაშადების კანტორის სოფელ კობოხულის ხილის დამამზადებელი პუნქტის გამგე კალენიკე კაპანაძე, ამავე კანტორის № 1 და № 2 ხილის დამამზადებელი პუნქტების მოლარე უშანგი ქიმაძე, გორის ხილვენკროვანი ღვინის ქარხნის სპირტსაცავის გამგე ანზორ ილიარიშვილი და სხვანი და სხვანი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა!..

— ახლა მთავარია ერთმანეთი გავიტანოთ! — დაიწყო ზურაბმა, — თუ ერთად ვიქნებით, საშიში არაფერია, საათივით ავაწყობთ საქმეს! მთავარია, პირველი ათასების შოგნა, თორემ ამის შემდეგ ფული თავისით მოვა და ვერც რევიზია დაგვაკლებს რამეს და ვერც პროკურატურა! აბა, რას იტყვიო?

— ისე აფურევეთ ერთმანეთში უსაქონლო ოპერაციებს, ამ საქმეში ჩვენზე გამოცდილ საქმოსნებსაც შეშურდებათ!

— იცოდე, ყალბი დოკუმენტების შედგენაც მოგვიხდება, რა თქმა უნდა, წინასწარი შეთანხმებით და მერე არ დამიწყობ ზედმეტი ლაპარაკი!

— რა ბრძანებაა, ასეთ „წვრილმანებზე“ ხმას ვინ ამოიღებს?! ამ საქმეში ლალატი როგორ იქნება?! კარგ ცხოვრებას კარგი მუშაობაც უნდა!

— რაკი ასეა, არაფერი გავიჭირდება! ისე, მე რომ მკითხოთ, ვაშლის, მსხლის, მაცვლისა და მოცვის დამზადებაზე დროს სულ არ დაგაკარგვინებდით, მაგრამ ასეც არ ივარგებს, გემოსა და ფერის მისაცემად ცოტა მაინც უნდა შევუტრიოთ, თორემ, ხომ იცით ზოგიერთი არამკითხეს ამბავი?!

გავსათვალნიანი კაცის მონოლოგი



ცოტა ცოდნით და უფრო სხვა რამით — შანსით, მიხვედრით, მადით — არამით, კარიერისტის უღვევი ნებით — მიზნის მწვერვალებს მივალნიე ტენებ-ტენებით!


ვერ ვიტან ჩემზე ტყვიანს და თამამს და არც მზრუნველებს ვუკარგავ ამაგს!..

ზოგიერთ ბრიყვსა ვგონივარ ტოლი! — არც კი მსურს მათი შეხედვა სწორი! ყველა მოშურნეს ვარიდებ მზერას და შავ სათვალეს ვატარებ ჯერაც!

ა. ზუბდიდელი



— რას ვბავს ეს?! რატომ ავიჭრალავიანთ საქონელი?! — თქვენ არ გვეუბნებოდით, დროს ჩაშორებით, არაფერი თანაბედროვე არა გაქვთო?!



— დარდი ნუ გაქვს, მაგას ადვილად მოვახერხებთ!

ამ „მცირე შტატი“ მართლაც ისეთი შესაშური მონდომებით დაიწყეს ფალსიფიცირებული პროდუქციის დამზადება და ყალბი ქვითრებისა და ზედნადებების შედგენა, ავ თვალს არ დაენახებოდა. ათასები მართლაც თავისით მოვიდა, მაგრამ ლომიძეს ლომის მადა აღმოაჩნდა და უფრო მეტი მოინდომა!.. კაცი არ ვიყო, მილიონებზე თუ არ გადავიდო, და გადავიდა კიდევ.

ამ დროისათვის ზურაბმა ქარხნის სპირტსაცავის გამგეს ანზორ ილარიშვილს გაუცვალა ადგილი და ახლა სპირტის მითვისება-გაყიდვა დაიწყო. მალე სპირტსაცავის სრულ ბატონ-პატრონად წარმოიდგინა თავი და ამ გზით 417.865 მანეთიც ჩაიჯიბა. ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ასე უფრო მეტს ვიშოვი, თუ ფალსიფიცირებული პროდუქციის დამზადებით და, რატომღაც, ეს უფრო იოლი ეჩვენა.

„საქმეში“, ხომ იცით, დრო როგორ სწრაფად გადის და, მათდა გასაოცრად, თვითონაც ვერ გაიგეს, როგორ აღმოაჩნდათ ჯიბეში მილიონ ორი ათას 653 მანეთი.

— ესეც ასე! მილიონიც შესრულდა და მეტიც! ასეა, როცა საქმისთვის თავს არ დაზოგავ! ახლა თითსაც ვერავინ დაგვაკარებს; შეგვიძლია, მარტო საამქროს კი არა, მთელი ქარხნის ბატონ-პატრონებიც გავხდეთ!

მართლაც, ვინ იცის, სადამდე მივიდოდნენ საქმისნები, ერთ მშვენიერ დღეს გორის ხილკენკროვანი ღვინის ქარხანა და საკონსერვო კომბინატი ერთ საწარმოდ რომ არ გაერთიანებულიყო და რევიზიას მათთვის ხელი არ შეეშალა.

რაც შეეხება ათი ათასებს, როგორც თავიდან ვთქვით, ახლა რაღა სათქმელია მილიონთან შედარებით, მაგრამ ვეღარც ამან უშველათ და მთელ მათ ქონებას კონფისკაცია უყვეს, თანაც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, თეიმურაზ გერსამიას თავმჯდომარეობით, ზურაბ ვლადიმერის ძე ლომიძე 15 წლით ჩამოაშორა ასეთი წარმატებით დაწყებულ საქმიანობას, გიორგი ჭოხონელიძე — 10 წლით, ანზორ ილარიშვილი — 11 წლით, კალენიკე კაპანაძე — 7 წლით, უშანგი ქიმაძე კი — 5 წლით!



ცილისმნამებელი

ქარაღში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის №95 სახლში მცხოვრებ ივანე ზაქარიაძე შავდათუაშვილს მეზობლები და ნაცნობები შავვულაანთ ივანეს ეძახდნენ.

მაინც რით დაიმსახურა ასეთი „საპატიო“ სახელი? რისა და ადამიანებისადმი სიძულვილით შემოგხვდებოდა ქუჩაში ივანე და ოქროპირად იქცეოდა, მოგთაფლა და; საკმარისი იყო, დაცილებოდი და ათასგვარ სიმყრალეს გადმოაფიქვევდა, გაგქირდავდა, დაგცინებდა, პირველ შემთხვევისთანავე დაწერდა მრავალგვერდიან ანონიმურ წერილს, მოიყვანდა ათასგვარ ცილისმნამებულ ბრალდებას!..

ერთ დღეს კი მთლად აიღო ნამუსზე ხელი..

რუსპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას ხშირად მოსდიოდა ანონიმური წერილები იმის შესახებ, რომ ქარელის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოქმედებდა საკოლმეურნეო დოვლათის დამტაცებელთა დიდი ჯგუფი, რომელსაც, თითქოსდა, ამა-

ვე კოლმეურნეობის თავმჯდომარე მეთაურობდა. „სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა ეს ჯგუფი იტაცებს დიდი ოდენობის ვაშლს!“ — წერდა ივანე.

ამ წერილებს თუ დაუჯერებდა კაცი, კოლმეურნეობის აგრონომი ტარიელ აბაშიშვილი თავისი სახლის სარდაფში ინახავდა 200 ყუთ მოპარულ ვაშლს, სამგზავრო ავტოსატვირთო სატრანსპორტო სანარმოს ავტომანქანის მძღოლი ბიჭიკო აბაშიშვილი — 300 ყუთს, გორის სარაიონ-თაშორისო საავადმყოფოს გაერთიანების ავტომანქანის მძღოლი ამირან სვიანიძე — 150 ყუთს, კოლმეურნეობის ავტომანქანის მძღოლი ვალიკო ბაიდაური — 200 ყუთს, რაიკოპერატორის მუშა ბეგლარ ხაჩატუროვი — 300 ყუთს, დამზადების კანტორის მძღოლი ვასილ ხაჯაველიძე — 200 ყუთსა და ა. შ. ამ წერილებს ხელს აწერდა „კეთილისმსურველი“.

„კეთილისმსურველის“ წერილების შესამოწმებლად გამოიყო ოპერატიული ჯგუფი, კომისიები, საქმეს მოცდნენ ადამიანები. ცილისმნამებულ წერილებში არა მარტო კოლმეურნეობის ხელმძღვანელები და რიგითი კოლმეურნეები იყვნენ მოხსენიებულნი, არამედ რაიონის სხვა ორგანიზაციების თანამშრომლებიც, რომლებიც ვითომდა, ათასგვარ დანაშაულს სჩადიოდნენ!.. ჰოდა, დაიწყო კიდევ უამრავი ხალხის ნერვულობა ცილისმნამების გამო, სამუშაოსაც ვეღარ უდებდნენ გულს რიგიანად!..

„კეთილისმსურველს“ მიაგნეს ანონიმური წერილების შემთითხველი სწორედ შავვულაიანთ ივანე აღმოჩნდა, ამავე კოლმეურნეობის მელიორატორი.

ბოლოს და ბოლოს, „სამართალმა პური ჭამა“ — სახალხო სასამართლომ ღირსეულად დასაჯა ცილისმნამებელი.

ზაალ მისანისარი

აკრედიტებული გულშემატკივრის სტატისტიკა

საერთაშორისო, ან და რომელიმე პრინციპული მატჩის დღეს, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე დაახლოებით 80 ათასი გულშემატკივარი მოდის. თუ ვივარაუდებთ, რომ აქედან 10 პროცენტი ქალია და 15 პროცენტი ბავშვია, ან მოზარდი და არამწვეველი, გამოდის, იმ დღეს დაახლოებით 60 ათასამდე ადამიანი სხვადასხვა ზარისხისა და მარჯის სიგარეტს აბოლდებს სტადიონზე.

ახლა, ვთქვათ, საშუალოდ თითოეულმა მათგანმა მთელი 185 წუთი (90 წუთი — თამაში, 15 წუთი შესვენება და თხუთმეტ-თხუთმეტი წუთი — დაწყებამდე და თამაშის დამთავრების შემდეგ სტადიონიდან გასვლამდე) აბოლა, გამოდის შემდეგი:

დავუშვათ, თითოეული მწვეველი ასევე საშუალოდ 8 წუთში ერთ სიგარეტს ეწევა, მაშინ: 185:8 = 16 ესე იგი, თითოეული მათგანი 16 სიგარეტს ხარჯავს თურმე. ახლა 16 გავამრავლოთ 60 ათასზე, მივიღებთ 96 ათასს. გამოდის, რომ, თურმე, იმ დღეს გულშემატკივრებს მოზღვავებულ ემოციათა კორიანტელში საკუთარ ფილტვებში 96.000 ცალი სიგარეტი ჩაუწვავთ.

ახლა, თუ ისეთი სტატისტიკითაც დავინტერესდებით, რომ ერთ კოლოფ სიგარეტზე საშუალოდ 50 გრამი ქალაქი იხარჯება (არ დაგავიწყდეთ: საფირმო სიგარეტები უმაღლესი ხარისხის შპორტულ ვერცხლის ფოლგასა და ქალაქში იფუთება), მივიღებთ შემდეგ: ოთხმოცდათქმევ-სმეტი ათასი სიგარეტი უნდა გაიყოს ოცზე (კოლოფში ხომ ოცი ცალი სიგარეტი ეტევა). ეს კი უდრის ოთხი ათას რვაასს. ესე იგი, 4.800 კოლოფი სიგარეტი მოწეულა. ახლა 4.800 კოლოფი გავამრავლოთ 50 გრამზე, მივიღებთ 248 ათასს, ხოლო თუ ორასორმოცდასამ ათას გრამს გავუოთთ ათასზე, მივიღებთ 2.480 კილოგრამს. ორი ტონა და 400 კილოგრამია, არა?

ახლა გამოვიტანოთ დასკვნა: 185 წუთის განმავლობაში, ერთი მატჩის დროს, თუ 60.000 გულშემატკივრიდან თითოეული საშუალოდ 16 სიგარეტს მოწევს, მივიღებთ შემდეგ: მთლიანად მოწევა 96 ათასი ცალი სიგარეტი, ანუ 48.000 კოლოფი, რომლის წონა (მხოლოდ ქალაქი იფუთისხმება) 2 ტონა და 400 კილოგრამია!

დაბოლოს, ქალაქი, რომელიც იმ დღეს დაიფურვდა, ან იქვე, სტადიონის იარუსებსა და შის ტერიტორიაზე უპატრონოდ მიატოვებს, სავსებით საქარისი იქნებოდა იმისათვის, რომ მასობრივი ტირაჟით გამოგვეცა საავტოცაო ლიტერატურა მწვეველთა დასარწმუნებლად, თუ რა ზიანი მოაქვს თამბაქოს ადამიანისათვის!

ნოდარ მაღაჯონია

კავშირგაბმულობის ადგილობრივი განყოფილების მუშაკებს — თუ ღმერთმა ინება და ახალი სადგური ჩადგა მწყობრში, არავითარ შემთხვევაში არ გააგრძელონ ძველი მეთოდით მომსახურება, თუ მათი მუშაობა მართლა ბედი და ბედისწერა არაა, ბედისთან და რაიონულ ცენტრს დაცილებულ სხვა სოფლებთან დაკავშირება იმგვარად მაინც მოხერხდეს, ტელეფონს მალე მზარბოლი არ სჭირდებოდეს!

აფხაზეთის ახსრ განათლების სამინისტროს — მომავალი ჯანსაღი თაობის აღსაზრდელად ნაკლებსაიმედოა 26 „შეგუებულის“, 10 დაქირავებული და 1 ავარიული ბაგა-ბალი. ისე, შეგუების საკითხია, თორემ ამ ბაგა-ბალთაგან მეტი წილი საეჭვოა, როგორ იმსახურებს შეგუებას, როცა ბავშვების კრიტიკასაც ვერ უძლებენ?

ცეკავეშირის გამგეობას — გალის რაიონის საზოგადოებრივი კვების გაერთიანებას არ გააჩნია სასაწყობო მაცივარი, რის გამოც ფერხდება მუშათა სასაიდლოების ინტენსიური მომარაგება კვების პროდუქტებით!

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს — 1978 წლის აპრილში, რეკონსტრუქციის მიზნით, დაიხურა გალის ცენტრალური საავადმყოფოს ინფექციური განყოფილება; ერთი წლისთავზე, სხვა უკეთესი რომ ვერაფერი მოიფიქრეს, ამ განყოფილებას დაუთმეს რაიონული ცენტრიდან 8 კმ-ით დაშორებული ჭუბურხინჯის სასოფლო საავადმყოფოს მკურნალთა შტატი; ასე რომ, პროფესიონალი ინფექციონისტები ჯერ კიდევ „გამოთავისუფლებული“ ადგილის მოლოდინში არიან, ამ ეგრეთ წოდებულ „ინფექციურ საავადმყოფოს“ არ გააჩნია სათანადო ლაბორატორია! საანალიზო მასალა (საშიში ბაქტერიებითურთ) ცენტრალურ ლაბორატორიაში საზოგადო ტრანსპორტით გადააქვთ!

სანარმოო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ — ოქუშის ჩაის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა უკვე მესამე თაობა ელის ამ საუკუნის ოცდაათიან წლებში აშენებულ სამი ორსართულიანი (ტუფის შესანიშნავი ქვით მოპირკეთებულ), მკვიდრად ნაგები საცხოვრებელი სახლების გადახურვის საბოლოო ვადების დადგენას, რადგან 50 წელიწადს, გადახურავს კი არადა, სახურავიან შენობას უჭირს გაძლება და უბადრუკდება, რისი მაგალითიც მშვენივრად შეიძლება ავიღოთ აჩიგვარის, ჭუბურხინჯისა და ჩაის სხვა ფაბრიკების საცხოვრებელი სახლებიდან!

ნიანგის ამოცანა-გამოცანა

გზა მრავალ გვარია — სწორი, ფართო, ოღორწოლო (რაიონში მეტი წილი ასეთია), მოკირწყლული, მოსაფალტებული და... ფულებით მოფენილი! სულსწრაფმა მკითხველმა ნიანგს გამომგონებლობა რომ არ დასწამოს და კადნიერი სიტყვა არ აკადროს, ფულით მოფენილი გზა სად ნახაო, ჩვენ მოთმინებით განვსაჯეთ და გამოვთვალეთ ყველაფერი. კერძოდ ის, რომ ერთი ცალი ერთმანეთიანი კუბიური (ჩვენებური მანეთი) 50 კვადრატულ სანტიმეტრს შეიცავს, კვადრატულ მეტრში კი, არც მეტი, არც ნაკლები, 200-ჯერ ეტევა 50 კვადრატული სანტიმეტრი, ანუ ერთი მანეთი. ესე იგი, ერთი კვადრატული მეტრი რომ დაფაროთ მანეთიანებით, ამას ზუსტად ორასი ცალი ასეთი ფული უნდა (თუ ვიშოვით, რა თქმა უნდა). როგორც ფაქტმა ცხადყო, გალელ გზის მშენებლებს ფული ასეთი სიანისათვის არ ეშურებათ, და აფენენ გზებზე მანეთიანებს, სამმანეთიანებს, ხუთმანეთიანებს, თუმანიანებსა და ასმანეთიანებსაც კი!

თავი რომ არ მოგანწყინოთ მათემატიკური მონაცემების გამომზერებით, გთავაზობთ შემდეგ ამოცანა-გამოცანას: რა სიგანის კუბიურებით, იგივე ფულით მოფენდნენ მშენებლები გუდავის გზას იმ შემთხვევაში, თუ თითოეული კილომეტრის შეკეთებაზე დახარჯულია 9 ათას 500 მანეთი, გზისპირა არხების („კიუვეტების“) გრძივ მეტრზე კი — 37 კაპიკი, ხოლო გზა მაინც უვარგისია?

დავით ასკურავა,
„ნიანგის“ სპეცკორესპონდენტი.



— დიოგანა, კაცი არა ხარ?! ვერა ხედავ, როგორ გვიჭირს ჭურჭალი?! მოაგორე ეხ კასრი აქით!..

სინოპიქოსების საუკაღაპო!

შამოდომისათვის კახეთის რაიონებში მოსალოდნელია თავმჯდომარეებისა და ბრიგადირების ზომიერიდან ძლიერამდე „ჭექა-ქუხილი“, რაც სოფლის ზოგიერთი ზარმაცის გამოდარებაზე მეტყველებს.

დღის პირველი ნახევრის დროს ამოვარდნილი გრივალური შრომა დღის მეორე ნახევარში გვიპირდება კოკისპირულ მაჭარს. მთელი დატვირთვით იგუგუნებენ ქვევრები და ბუტები, რაც დღის ბოლოს მრავალფამიერის მძლავრი დაქუხებით დამთავრდება. მაჭრის წლიური ნალექი, შარშანდელთან შედარებით, საგრძნობლად დაინეცს.


საშემოდგომო რთველი-81-ის ბადაგი გადაუვლის საქართველოს ამიერსა და იმიერს.

მოსალოდნელია კოკისპირული მაჭრის დაღვინება საერთაშორისო და საკავშირო ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით.

ყურძნის ჩაბარების სვეტის სიმაღლე 700-800 ათას ტონას მიაღწევს.

წამოვა რეკორდების წვიმა. ზოგიერთ ბრიგადაებში ალაგ-ალაგ აღინიშნება გეგმების შეუსრულებლობა!

მურგან მირკვილიშვილი



საქართველოს კომპარტიის ზნაურის რაიკომი:

„ნიანგის“ მე-5 ნომერში დაბეჭდილი წერილი — „რედაქციაში მოვიდა წერილი, რომელიც არ უნდა მოსულიყო“ — ამხელდა სერიოზულ ნაკლოვანებებს ზნაურის რაიონული გაზეთის „საკომმუნენო ცხოვრების“ რედაქციის მუშაობაში და მიუთითებდა რედაქციის ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობასა და უპრინციპობაზე. წერილი მთლიანად დადასტურდა.

პარტიის ზნაურის რაიკომის ბიურომ მიმდინარე წლის 30 ივლისს იმსჯელა აღნიშნულ ფაქტებზე.

ხელმძღვანელობის, მომთხოვნელობისა და კონტროლის შესუსტების, რედაქციის კოლექტივში შრომის დისციპლინის უხეში დარღვევების აღკვეთის საქმეში შემწყნარებლობის გამოჩენის, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში პასიურობისათვის რაიკომის ბიურომ გაზეთის რედაქტორს რ. გათიკოვს გამოუცხადა საყვედური პირად საქმეში შეტანით; სამუშაოდან გათავისუფლდა და საყვედური პირად საქმეში შეტანით გამოეცხადა რედაქტორის მოადგილეს ვ. ქელესაევს.

მუშაობაში დაშვებული სერიოზული შეცდომებისათვის, ჰონორარის არასწორად გამოწერისათვის სამუშაოდან გათავისუფლდა და საყვედური პირად საქმეში შეტანით გამოეცხადა გაზეთის პასუხისმგებელ მდივანს რ. ქოქოვს;

ბიურომ მკაცრად გააფრთხილა წერილების განყოფილების გამგე დ. ვალივი;



პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შესუსტებისა და უპრინციპობისათვის რედაქციის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ლ. დურგლიშვილს გამოეცხადა საყვედური.

ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის პარტიული კომიტეტი:
ჟურნალ „ნიანგის“ მე-12 ნომერში სათაურით — „ქინქლა“ — გამოქვეყნებულ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეა. მიმდინარე წლის ხშირი წვიმების გამო ფაიფურის ქარხნის დასახლების, ქალაქის №1 საავადმყოფოსა და სხვა კომუნალური საცხოვრებელი

სახლების სარდაფები წყლით აივსო, რამაც ხელი შეუწყო კოლოს გამრავლებას.

შემომნებით გამოირკვა, რომ სახლების დაპროექტების დროს გათვალისწინებული არ იყო ქ. ზუგდიდის ბუნებრივი პირობები, სარდაფები გაკეთდა ტექნიკური ნორმების დარღვევით.

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მოწვეულ იქნა საქართველოს სსრ მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის კომპეტენტური კომისია, რომელმაც შეისწავლა სარდაფების ტექნიკური მდგომარეობა და დასახვა კონკრეტული ღონისძიებები.

გარკვეული მუშაობა ჩაატარეს ფაიფურის ქარხნის დირექციამ და პარტიულმა კომიტეტმაც:

ქარხნის კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას დაევალა მუშათა საერთო საცხოვრებლის მიკრორაიონის კეთილმოწყობა დრენაჟის გათვალისწინებით, მიკრორაიონში გაკეთდება ასფალტის საფარი, რაც ჩამდინარე წყლებს მოაშორებს საცხოვრებელ კორპუსებს, კაპიტალურად შეკეთდება სანიტარული კვანძები. სისტემატურად წარმოებს სადუზინფექციო სამუშაოები.

ფაიფურის ქარხნის მუშათა დასახლებაში გამოვლინებული უნესრიგობისათვის ქარხნის საბინაო-კომუნალური განყოფილების უფროსს — ს. კვარაცხელიას გამოეცხადა საყვედური.

დაისახა სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი წერილში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების მთლიანად გამოსწორებისათვის.

წერილების კვალდაკვალ

ტყიბულის ზონის სოფელ კოკადან გამოგზავნილ წერილში კომმუნურნები ითხოვდნენ სოფლის სავაჭრო მომსახურებისა და ელექტროენერგიით უზრუნველყოფის გაუმჯობესებას.

წერილი გადაეგზავნა ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს, საიდანაც რედაქციას აცნობეს, რომ სოფელ კოკას ემსახურება სავაჭრო ფარდული, რომელიც მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს, ამიტომ რაიკავშირის გამგეობას დაევალა, დამატებით მოაწყო სოფელში დატარებითი ვაჭრობა.

სოფლის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად გამოიცვალა ელექტრობოძები და სადენები.

მ. მაისის ქუჩა შესაკეთებელია, მოსაწესრიგებელია აგრეთვე ქუჩის განათებაც, წერდნენ რედაქციას სამტრედიიდან.

ამის თაობაზე სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა რედაქციას მოსწერა, რომ მ. მაისის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები უკვე მიმდინარეობს, მოაწესრიგებენ აგრეთვე ქუჩის განათებასაც. აღნიშნული სამუშაოების შესრულებისადმი კონტროლი დავალებული აქვს სამტრედიის საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

რედაქციაში გამოგზავნილ წერილში ამხელდნენ ქ. მახარაძის აბანო-სამრეცხაოს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტიდან გვაცნობეს, რომ მიმდინარე წლის 24 ივნისს იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახეს ღონისძიებანი.

რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს დაევალა აღნიშნული ობიექტის სრულ წესრიგში მოყვანა.

ქალაქში შენდება ჰიგიენის სახლი, რომელიც საექსპლოატაციოდ მომავალ წელს გადაეცემა.